



საქართველო  
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
 საკრებულო



N 77  
 29/09/2017

77-07-4-201709291625



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
 განკარგულება №77  
 2017 წლის 29 სექტემბერი  
 ქ. ლანჩხუთი

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ივნისის N46 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად,

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გრანტის მიღებაზე და შესაბამისი პროცედურების განხორციელებაზე გამგებლისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 7 ივნისის N46 განკარგულებაში შევიდეს ცვლილება და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ევროკავშირის პროექტის - „მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 6420 (ექვსი ათას ოთხასოცი) ევროს ოდენობის გრანტის მიღებაზე ნებართვის მისაღებად შუამდგომლობით მიმართოს საქართველოს მთავრობას, აგრეთვე განახორციელოს გრანტის მისაღებად საჭირო შესაბამისი პროცედურები.“

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე  
 საკრებულოს ბიურო